პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
ხუთშაბათი
3 აპრილი
№ 78 (17721)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინური შაბათობა გვიხმობს

ცხინვალი

„ცხინვალმშენის“ ტრესტის კოლექტივი შაბათობის დღეს ერთსულოვნად დადგება მშენებლობის ბარაჩოებზე. 500 კაცი საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობაზე იმუშავებს. ამ დღეს გამომუშავებული საერთო თანხიდან 1200 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

წითელი შაბათობის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით სამშენებლო უბნებმა შეიმუშავეს კონკრეტული გეგმები. მეათე ხუთწლედის პირმშოს — ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშენებლობაზე 240 კაცი იმუშავებს. ფომმინანქრებელი ქალაქში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მრავლდება მოწინავეთა რიგები. მათთვის დაწესებულია „საუკეთესო ბრიგადის“, „საუკეთესო ცვლის“ და „საუკეთესო მუშის“ წოდებანი.

„საუკეთესო მუშის“ წოდება აბლახან ფომმინანქრებელ არტემ გაბარაევს მიენიჭა.

გორი

კომუნისტური შაბათობის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მატულობს შრომის ტემპი ქალაქის სამმრეწველო საწარმოების ფლაგმანის — ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში.

ლენინურ შაბათობაზე 5000 კაცი გამოვა, მათ შორის 4400 პროდუქციის შექმნაზე იქნება დასაქმებული. გამოუშვებენ 58 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, მომხმარებელ ორგანიზაციებს გაუგზავნიან 88 ათას მეტრ მაღალხარისხოვან ქსოვილს; ხუთწლედის ფონდში 2800 მანეთს გადარიცხავენ.

შაბათობის დღეს გაერთიანების 51 ბრიგადა ოთხი თვის დავალების შესრულებას უპატაკებს სამშობლოს.

ქალაქის პოროპროდუქტების საწარმოო კომბინატიც გაცხოველებით ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის.

ურიკეტაძლი

[illegible] ბრიგადა [illegible] შრომითს მაჩვენებლებს აღწევს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი. სამეურნეო წლის დასაწყისიდან მეშახტეებმა თვის ანგარიშზე უკვე დაიწერეს ოთხი სარკინიგზო ეშელონი ზეგეგმით საკოქსე სათობი და წარმატებით შეასრულეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.

საწარმოს საერთო წარმატებაში თვალსაჩინოა წვლილი შეიტანა მეექვსე საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც წლების მანძილზე გამოცდილი სამთო ტექნიკოსი მ. გვენეტაძე უდგას სათავეში. სწორედ ამ უბნის მეშახტეებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას — 19 აპრილს ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ.

გადაწყვეტილება და საქმე

ამას წინათ რედაქციამ სათაურით „უახლოეს მომავლში...“ მკითხველის წერილი მიიღო. მისი ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს ზოგიერთ პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციას, რომლებიც თავიანთ დადგენილებებსა და სხვა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში ხშირად ასეთ დაპირებებს იძლევიან: „უახლოეს მომავალში გაკეთდეს“, „უახლოეს მომავალში აშენდეს...“.

მართლაც, სწორედ ამ და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი თავისთავად მშრალი, არაფრისმთქმელი სიტყვებით ივსება ხოლმე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის გამო მიღებული ბევრი გადაწყვეტილება, რომლიდანაც კაცი ვერ გაიგებს, თუ კონკრეტულად რა და როდის, რა საშუალებით უნდა განხორციელდეს, ან ვინ უნდა მოჰკიდოს ბრიგადულად საქმეს ხელი. აი, სწორედ ასეთ დროს იტყვიან, წმინდა წულის ფორმალიზმიაო, რაც უცახო და მიუღებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი საერთო საქმიანობის სტილისათვის.

დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ფორმალიზმით, ფალის მოზდის ფსიქოლოგიით გაჟღენთილ-გაბერილი. და სწორედ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და იქნება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი ამოცანა.

ვ. ი. ლენინი ყველგან და ყველა საქმეში კონკრეტულობას და ქმედითობას, საკითხებისადმი მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას მოითხოვდა, იგი დასცინოდა ბაქანუქობას, ზერელეობას, უშინაარსო გამოსვლებს. დღეს ჩვენი რთული და პასუხგებური ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლის გზაზე განსაკუთრებით აქტუალური ბელადის ეს მოთხოვნა. საჭიროა რაც შეიძლება შევამციროთ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, სამაგიეროდ უზრუნველვყოთ მათი დასაბუთებულობა, კონკრეტულობა.

რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების ავტორიტეტისათვის ეს ერთი პირობაა. არანაკლებ ღნიშვნელოვანია შესრულების სწორი ორგანიზაცია.

სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებას, როგორც წინსვლისათვის, დასახული მიზნის განხორციელებისათვის ეფექტიანი ბრძოლის შესანიშნავ საშუალებას. ამ უკანასკნელ წლებში არ ყოფილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი, ბიუროს სხდომა თუ რაიმე თათბირი, რომლებზედაც საგზგასმით არ თქმულიყო გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მაღალი ორგანიზაციის აუცილებლობაზე, დათქმულის, მიზანდასახულის განსახორციელებლად პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრების დიდ პასუხისმგებლობაზე.

დღესავით ნათელია: თუ ყოველ დადგენილებას, რა კარგადაც, რა გონივრულადაც უნდა იყოს შედგენილი, მიღებისთანავე შესრულების შემოწმება და სისტემატური კონტროლი ფეხმარდი მდინარივით არ დავადენთენ, თუ იმათ, ვინც შესრულებისათვის უშუალო პასუხისმგებელია, გულელი დაიკრიფეს, მაშინ ბედის ანაბარად მიტოვებული საქმე ხერს არ მოიტანს. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითებიც ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ცოტა როდია.

და სწორედ პარტიულ კომიტეტებზე, პირველად პარტიული ორგანიზაციებზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო მათთან, არამედ ადგილებზეც ინიციატივისა და საშემსრულებლო დისციპლინის უნარისაად შეხამება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ნოემბერი XIV პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებიც უფრო უნარიანად იყენებენ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მრავალფეროვან მეთოდებს, აღწევენ ადამიანთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ყოველმხრივ განვითარებას. ამის უბადლო დასტურია ზედიზედ შვიდი საკავშირო ვარდამავალი დროშა. საყოველთაო აქტიურობისა და კარგი საშემსრულებლო დისციპლინის უკონტროლოდ ასეთი წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

წელს, განსაკუთრებით ხუთწლედის ამ ბოლო და დაძაბული წელს, საჭიროა ყოველი გადაწყვეტილება პრაქტიკული საქმედ ვაქციოთ. ხუთწლედის დავალებათა უთუოდ განადღებით უნდა იყოს დაინტერესებული თითოეული კომუნისტი, ქალაქისა და სოფლის თითოეული მშრომელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი დადგენილება კაცივით უნდა იბრძოდეს, იღვწოდეს, მოქმედებდეს...

საგულისხმოა, მისაბაძია ის პრაქტიკა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს პარტიის თბილისის კომიტეტმა, რესპუბლიკის დედაქალაქის რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა დაამკვიდრეს გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების მხრივ. პარტიის ქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, რაიონული კომიტეტების ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა ქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებს. ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების განაღდების მიზნით მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობაზე ოპერატიული გავლენისა და შემოწმების სისტემა ეფექტიან კონტროლს უზრუნველყოფს აგრეთვე ცალკეულ საწარმოთა ყოველდღიური საქმიანობისადმი. აი, ამიტომაც არის, რომ ქალაქის მეწველობა სწრაფი, სტაბილური ტემპით ვითარდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავისი გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის კომუნისტებს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო პარტიულ ორგანიზაციებს აძლევს იმის ორიენტაციას, რომ ყველგან და ყოველთვის დაიცვან ხუტყეს და საქმის ერთიანობა, სწორი პოლიტიკური ხაზი ყველგან შეერწყას ორგანიზატორულ სწრაფვას. ეს თითო წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილად ცხოვრებისეულია, სწორია ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოვლენების მეცნიერული ანალიზისა და აზრთა გულმოდგინე გათვალისწინების საფუძველზე იბადება, ღრმად მოფიქრებულ რეკომენდაციებს შეიცავს.

მარშან პარტიის ზუგდიდის რაიკომმა მიიღო დადგენილება საკუთარი წარმოების საკვებით მეცხოველეობის ფერმების უზრუნველყოფის თაობაზე. სანამ ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, გულდასმით აწონ-დაწონეს შესაძლებლობანი, გამონახეს რეზერვები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ერთწლოვანი ბალახებისა და ძირხვენების მოსავალს, კომუნისტებმა „თვალი დაადგეს“ მდინარე ჭურის მიდამოებში ასობით ჰექტარ ნაჭაობარ და აუთვისებელ მიწებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს და, მართლაც, შარშან ზუგდიდელებს არც ერთი ტონა თივა სხვაგან ალარ უყიდიათ, ფერმები უზრუნველყვნენ საკუთარი, იაფფასიანი, მაგრამ ყუათიანი საკვებით.

მოფიქრებული, დასაბუთებული დადგენილებების მიღებისა და შესრულების სანიმუშო ორგანიზაციის მაგალითები სანთლით საძებარი როდი გვაქვს. განსაკუთრებით კარგი გამოცდილება აქვთ ამ მხრივ პარტიის ქუთაისის საქალაქო, აბაშის, მახარაძის რაიონულ და სხვა პარტიულ კომიტეტებს, რომლებიც შინაარსიანი, შემოქმედებითი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობით დღენიადაგ ამაღლებენ, განამტკიცებენ როგორც ზემდგომი პარტიული ორგანოების, ისე საკუთარი გადაწყვეტილებების ავტორიტეტს.

რატომ იბადება ზოგჯერ მეორადი დადგენილებანი? ეს უმთავრესად ან ზერელედ შედგენის, ან სუსტი საშემსრულებლო დისციპლინის, არაორგანიზებულობის შედეგია. ამაში ნათლად დარწმუნდებით, როცა ქობულეთის რაიონის ჩაქვის № 1 ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას გაეცნობით. აქ კრებებზე მიღებული დადგენილებანი იმდენად ზოგადი და არაფრისმთქმელია, რომ შეუძლებელია კონტროლის დაწესება.

ვინ მოთვლის რამდენი გადაწყვეტილება მიიღო პარტიის წითელწყაროს რაიკომმა რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, რამდენი ქაღალდი დაიხარჯა კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებშიც ახალ-ახალი დადგენილებების შესადგენად, მაგრამ რა გამოვიდა: ბოლო ორ წელიწადში წინა წლებთან შედარებით რძისა და კვერცხის წარმოება უკან-უკან წავიდა. ასევე უძრაობისაგან სული შეეხუთა არცთუ ისე კონკრეტულ დადგენილებებს მზესუმზრის მოსავლიანობის გადიდების თაობაზე. წითელწყაროელი კომუნისტებისათვის პირდაპირ სამარცხვინოა, რომ შარშან 8.179 ჰექტარზე მხოლოდ 5.517 ტონა მზესუმზირა მოიწიეს და გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულეს.

ასევე სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების თაობაზე მიღებული თავიანთი დადგენილებების ქმედითობას ვერ დაიტრაბახებენ პარტიის ჯვეის რაიკომის მიუროს წევრებიც, რადგან რაიონში ამ მხრივ მდგომარეობა თითქმის უცვლელია.

როცა ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიც გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულების ორგანიზაციაა, ფორმალიზმის ფაქტებზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები მსჯელობის, აზრთა გულახდილი გაზიარების დონე, მისწრაფება — კი არ მიაჩუმათონ ნაკლოვანებანი, არამედ გულღიად, ალალად თქვან როგორც საქმის ხელისშემშლელ მიზეზებზე, ისე მისი გაუმჯობესების კონკრეტულ გზებზე.

აბა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენია ჩვენს შორის პირზე კლიტედადებული, გულგრილი, რომლებიც კრინტს არ დაძრავენ იმისათვის, რომ ერთი-ორი სახარგებლო აზრი შეურიონ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე მიღებულ დადგენილებაში. სამწუხაროდ, ასე იქცევიან ზოგან პარტიის რაიკომის ბიუროს და რაიონსაბჭოს აღმასკომის წევრებიც. ამიტომაც არის, რომ განსაკუთრებით პარტიის რაიკომებისა და რაიონსაბჭოს აღმასკომების ერთობლივ დადგენილებებში, როგორიც ბაქანუქობას, ზერელეობათა სამეურნეო-საფინანსო ანგარიშების განხილვისას რომ იღებენ, ზშირად ერთ ახალ სიტყვასაც ვერ იპოვი, ისინი ძველის, წინა წლების პირდაპირი გადაღერებაა ხოლმე.

საქმის არსში ღრმად ჩაწვდომა, კომუნისტთა კოლექტიური აზრის გათვალისწინება — აი გადაწყვეტილების ავტორიტეტის ერთ-ერთი მთავარი პირობა. უამისოდ კი ხელში შეგვრჩება ქაღალდი ზოგადი, დეკლარაციული მოწოდებებით: „დავრაზმოთ“, „დავაჩქაროთ“, „გავაუმჯობესოთ“...

„მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — ორგანიზატორული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს არის თითოეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის, თითოეული პარტიული ორგანოს, თითოეული პირველადი პარტორგანიზაციის საქმე“.

სწორედ ამ საქმის, ამ ხელოვნების დაუფლება ყველა პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველსაზრუნავად უნდა იქცეს.

თუ ერთ ორგანიზაციაში დასახულს ვერ შეასრულებენ, ეს ხომ ჩვენს საერთო მუშაობაზეც იმოქმედებს. დღეს ხომ მთელი ჩვენი ფიქრი და მეცადინეობა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ მაქსიმალურად ავამოქმედოთ ხუთწლედის წარმატებით დამთავრების ახალ-ახალი რეზერვები, არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ჩვენი ქალაქისა თუ სოფლის დოვლათიდან, აქტიურად, ინიციატივიანად გაისარჯოს ყველა მშრომელი.

ამჟამად საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ღია პარტიული კრებები იმართება დევიზით — „ვიცხოვროთ, ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!“. ამ კრებებზე და კრებების წინ კომუნისტები ყურადღებით აკვირდებიან, თუ რის გაკეთება მოასწრეს დასახულის შესასრულებლად, ეძებენ უფრო ნაყოფიერი მუშაობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაძლევის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტან გზებს, აძლიერებენ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი კონტროლს.

ეს ლენინური კრებები ახალი კეთილი საქმეების იმპულსს იძლევა.

ეწვივნენ საელჩოს

12 აპრილს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კიროლენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. ალიევი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. შეპილოვი, კ. უ. ჩერნენკო, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. სიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი ეწვივნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ტონ დიკ თხანგის გარდაცვალების გამო.

მათ წუთიერი დუმილით სცემეს პატივი ვიეტნამელი ხალხის ერთგული შვილის, ხო ში მინის თანამებრძოლის, თანამიმდევრული ინტერნაციონალისტის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ხსოვნას, და ხელი მოაწერეს სამძიმართა სამგლოვიარო წიგნში. (საჯდესი).

შრომითს ვასტზე

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ექსპერიმენტული საოდელო საამქროს მოწინავე ბრიგადირი დარიკო მიქაბერიძე; ქალის ჩექმის შესაკერი ავტომატებზეული ხაზი.

გ. გერასიმოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)...

სატრანსპორტო მშენებლობას — მაქსიმალური ყურადღება

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ი. დ. სოსნოვი.

ამხ. ი. დ. სოსნოვი იყო მარადა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის, თბილისის მეტროპოლიტენის გლდანი-ვარკეთილის ახალი მაგისტრალური ხაზის მშენებლობებზე, ეწვია აგრეთვე თბილისის ელმავლთამშენებელ ქარხანას, სადაც ამჟამად დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს, გამოიკითხა მათი ცხოვრების, შრომის, ყოფის პირობები.

გაიმართა დარგის მუშაკთა გაფართოებული თათბირი, რომელზეც გამოვიდა ამხ. ი. დ. სოსნოვი.

ამხ. ი. დ. სოსნოვმა მაღალი შეფასება მისცა ამერიკელ-კანადური „ტრანსმშენის“, „თბილგვირაბმშენის“, ამერიკელ-კანადური რკინიგზის კოლექტივების შრომას რესპუბლიკის სატრანსპორტო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო რიგითობისა და როკის გვირაბების გაყვანას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამასთანავე აღინიშნა ცალკეული ნაკლოვანებები, გამოითქვა მთითებები ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრის თაობაზე, განისაზღვრა მეათე ხუთწლედის გეგმის უთუო შესრულების ამოცანები.

ამხ. ი. დ. სოსნოვი შეხვდა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს გ. ვ. კოლბინს.

რესპუბლიკაში მოგზაურობისას ამხ. ი. დ. სოსნოვთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, აგრეთვე „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. დ. გოკირიძე, ამერიკელ-კანადური რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე, ამერიკელ-კანადური „ტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი ა. ნ. საგანელიძე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა 1979 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ, რაც 1979 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ინიციატივა რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისადმი, რომლებმაც გამალეს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა ყოველი საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბია“, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა კავშირმა, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა დარგობრივმა გამგეობებმა კიდევ უფრო გააღრმავეს წარმოების რეზერვების ძიება მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ხელი შეუწყეს რეზერვების გამოვლენის საფუძველზე ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, დარგობრივი პროფკავშირების შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების პოლიტიკურ-ორგანიზატორულმა მუშაობამ გააძლიერა ყურადღება სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისადმი, უზრუნველყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მათი საქმიანობის დონის ამაღლება, დაეხმარა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს საყურადღებო ინიციატივის ყველგან გაერცელებაში.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „ჭიათურრმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებმა, რომლებიც ავითარებენ მოძრაობას, წინადადება წამოაყენეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველ ორგანიზაციაში შემოეღოთ წარმოების მოცულობის გადიდების რეზერვების პირადი ანგარიშები, რომლებმაც მეცადინეობა მისცა მათ არა მარტო ეფექტიანად გაეთვალისწინებინათ ეს რეზერვები, არამედ გაეძლიერებინათ კიდეც ბრძოლა მათი რაც შეიძლება სრული გამოყენებისათვის.

თუ 1978 წელს ინიციატივას „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბია“ მხარი დაუჭირა 220 ორგანიზაციამ და საწარმომ, უკვე 1979 წელს იგი გავრცელდა 510 საწარმოში, სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებაში. თანამონაწილეობა გამოიხმაურნენ არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე.

გაიზარდა იმ სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა რიცხვი, რომლებიც შეჯიბრებაში მონაწილეობენ პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმების საფუძველზე, რამაც ხელი შეუწყო წარმოების რეზერვების ძიებაში მათი აქტიურობის ამაღლებას. ამჟამად მანქანათმაშენებელი, მუშტები და ავტოს მრეწველობის, შავი მეტალურგიის, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრების ნახევარზე მეტს — მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს აქვთ პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმები.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ბევრმა რესპუბლიკურმა დარგობრივმა გამგეობამ, პირველადი ორგანიზაციების საბჭომ გარკვეული წარმატებანი მოიპოვა წარმოების რეზერვების გამოვლენაში, აქტიურად შეუწყო ხელი მათს გამოყენებას. თუ პირველ ეტაპზე გამოვლინდა 10,5 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვების რეზერვები, წლის მანძილზე ეს ციფრი 29,4 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

ამის შედეგად სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ხელშეწყობით რესპუბლიკის მრეწველობაში გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 52,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც 1,8-ჯერ აღემატება ნაკისრ ვალდებულებებს.

გამოშვებული პროდუქციის მოცულობათა გადიდების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა „ჭიათურრმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის პირველადი ორგანიზაციის საბჭოებმა, „ენერგომაშენის“ ელექტროტექნიკური ქარხნის, „ელექტროტექნიკ

მარად პარტიასთან, ხალხთან ერთად

(დასასრული)

ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი საბჭოთა კავშირში. ასეევა სოფლის მეურნეობაშიც. სოფლის მეურნეობის პროდუქციას წინა ხუთწლედთან შედარებით 32-33 პროცენტით მეტს ვაწარმოებთ ამ ხუთწლედში. ახლა მშენებლობას ვაშენებთ. ეი სტატისტიკის ზოგიერთი სხვა მონაცემიც: მუშათა ელასის ხელფასი გაიზარდა 26-30 პროცენტის ფარგლებში, გლეხობის შემოსავალი კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან — 45, თითქმის 50 პროცენტით. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის უმეოავრეს რაიონებში გლეხაცი კოლმეურნეობის, საზოგადოებრივი სექტორის შემობრუნდა. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამას მიაღწია ისეთნაირად, რომ საკარმიდამო ნაკვეთები არ შეგვიჯიწროვება, პირიქით, ყველა ლობდით და ახლაც ვცდილობთ სოფლად მცხოვრებს დავეხმაროთ რაც შეიძლება მყარად დამკვიდრდეს მიწაზე, რაც შეიძლება ხელი შეეწყოთ საკარმიდამო მეურნეობის განვითარებაში სასოქრებით, ტრანსპორტით, სხვა საშუალებებით. თუ აბსოლუტური შეფარდების მიხედვით ვიმსჯელებთ, საკარმიდამო ნაკვეთებზეც პროდუქციის წარმოება დაახლოებით 10-12 პროცენტით გაიზარდა. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომ ძირითადად დაგვეძლია ჩამორჩენა ეკონომიკის სფეროში, ხუთწლედის მეორე ნახევარში და მეათე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად ავდაწყდა. და ამით გადავლახეთ ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური ბარიერი, შიში დიდი ამოცანების წინაშე.

ქართულმა მწერლობამ უნდა იცოდეს, როგორი იქნება 80-იანი წლები რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ჩვენ პრაქტიკულად უკვე გამოკვეთილი გვაქვს მეთერთმეტე ხუთწლედიც და მეთორმეტე ხუთწლედიც. პრაქტიკულად უკვე ვიცით, რა დონეს უნდა მივაღწიოთ, რა უნდა ავაშენოთ, რა დარგები უნდა განვავითაროთ უახლოესი 10 წლის განმავლობაში. რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ჩვენი ანგარიში ოპტიმალურია, ყველა მიმართულებით ეყრდნობა არსებული მუშაკების რესურსების ბალანსს, ტრადიციებს, რომლებიც საბჭოთა ხელისფლების წლებში ჩამოყალიბდა, გამოხატავს ყველა რეგიონის ინტერესს და შეეცადებიან ქალაქსა და სოფელს შორის, კონკრეტულ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების დაძლევას.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ განვითარდება არა ყოველგვარი მრეწველობა, არამედ მოწესრიგების პროგრესული და რესპუბლიკისათვის ტრადიციული დარგები. უკვე დაიწყო დამიტროვის ქარხნის, ელმავალსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია, პრაქტიკულად ახალი ქარხნები იმადება. 2-3 წელიწადში ქუთაისის საავტომობილო ქარხანას შეეძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ისეთი რანგის მანქანების გამოშვება, რომლებიც კონკურენციას გაუწევს ნებისმიერი ქვეყნის პროდუქციას; მთლიანად განახლდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა, რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები. თითქმის არ დარჩა არც ერთი ტრადიციული საწარმო, რომლის დიდი რეკონსტრუქცია არ მიმდინარეობდეს. მომავალ ხუთწლედებში მრეწველობა სწრაფი ტემპით განვითარდება აფხაზეთშიც, აჭარაშიც, ოსეთშიც და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც. ეს არის უპირველეს ყოვლისა ხელსაწყოთმშენებლობა, ერთობ საინტერესო დარგი, რომელიც მაღალ ინტელექტუალურ შრომას მოითხოვს, ელექტრონიკა და ეგრეთ წოდებული მიკროელექტრონიკა, რომელსაც ასევე განათლებული მუშა მოეძებნება. განვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა, ჩარხმშენებლობა. შეიქმნება დიდი საწარმოების ფილიალები, ამასთანავე ეცდება იქნება შეფარდებები და პროპორციები, რათა არ მოხდეს ისე, რომ ვინც სოფლად ცხოვრობს, ყველამ ქალაქში მოიყაროს თავი. ქალაქები, მათ შორის თბილისიც, არ მიიღებს რაღაც გიგანტურ მასშტაბებს. თბილისის მოსახლეობა 2000 წლისათვის, ალბათ, არ უნდა გადასცდეს მილიონ 200 ათასს. ერთიორი გიგანტის აშენება მაინც მოგვიხდება, მაგრამ ეს იქნება ქალაქების გარეთ, რაიონში. ნაგულისხმევია, მაგალითად, მარნეულის ზონაში ძმიმე ჩარხმშენებელი დიდი ქარხნის აგება. წარმოიდგინეთ, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ მოვლენას რეგიონისათვის და საერთოდ მთელი რესპუბლიკისათვის.

ამხ. ე. ა. შევარდნაძე შეეხო ენერგორესურსებზე სწრაფადმზარდი მოთხოვნილების პრობლემას და კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ისახება ამ მიმართულებით უკვე 1985 წლისათვის. შემდეგ განაგრძო:

— ყველას გვიფიქრია საქართველოს სამხრეთ რაიონების მოგიალი. ამჟამად მესხეთ-ჯავახეთი ერთგვარად მოწყვეტილია საქართველოს ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრებს. რკინიგზის გაყვანა ბარშრუტით: მარაბდა-თეთრი წყაროს რაიონის ნაწილი — წალკა-ბოგდანოვკა-ახალქალაქი და უკან, რომელიც უკვე გადაწყვეტილია და რომლის 20 კილომეტრი ლიანდაგი უკვე მიმდინარე, 1980 წელს დაიგება, დიდად შეუწყობს ხელს მესხეთ-ჯავახეთის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას.

სასახლო მეურნეობის უახლოესი 10 წლის გეგმა უთუოდ ახალ, მძლავრ ბიძგს მისცემს მეცნიერების განვითარებას, გადაწყვეტს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის დასაქმების საკითხს. ასეთია პერსპექტივა, რომელმაც არ შეიძლება სასიკეთო გავლენა არ იქონიოს ქართული მწერლობის შემოქმედებაზე.

ისტორიას არ ახსოვს არც ერთი დიდი შემობრუნება, არც ერთი დიდი გარდატეხა ხალხების, სახელმწიფოების, ეროვნების და ცხოვრებაში, რომ მწერლებს, ხელოვნებს არ მიეღოთ მონაწილეობა.

ქართველი მწერლები ყოველთვის პარტიის ერთგული თანამშემწენი იყვნენ. კომუნისტური სულისკვეთებით მმრომელი მასების აღზრდის საქმეში. პარტიასთან ერთად, ხალხთან ერთად! — ეს საბრძოლო მოწოდება ქართველ მწერალთა დევიზი იყო საქართველოში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში დიდი დადებითი ძვრები ხდება. მან გააქტიურა თავისი როლი რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესში. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ლიტერატორებს რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში.

ახლა წინანდელზე უფრო ხშირად შეხვდებით მწერლებს ფაბრიკა-ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, ფერმებში და სადოვრებზე. ისინი აქ მოდიან არა როგორც მეთვალყურენი, არამედ როგორც შემოქმედებითი შრომის მონაწილენი. და თუ მომდინარე წელს საქართველომ ზედიზედ მეშვიდეად მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ამაში თავიანთი წვლილი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმაც შეიტანეს.

ისინი თავიანთი შემოქმედებითი შრომითი გმირობისათვის აღიფრთოვანებენ ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, მეცნიერებსა და ინჟინრებს.

წარმატებანი აშკარაა, მაგრამ მწერლებს ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რომ უფრო სრულად ასახონ ჩვენი დღეების ყოველსმომავალი შრომის რიტმი, ის უდიდესი ცვლილებები, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ხდება. ლიტერატურის მთავარ თემად კვლავინდებურად რჩება შრომის, ხალხთა შრომითი ენთუზიაზმის თემა. საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყაროს გახსნა, მისი იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა — ეი ლიტერატურის უმთავრესი ამოცანები.

ორატორმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს და გაძლიერდეს შეუპოვარი ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ. თუ დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ გამოკვეთილად დადებითი ტენდენცია დაისახა, ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ყველა ნაკლი აღმოგვეფხვრას.

ჩვენს მთავარ მიმართულებად კვლავინდებურად რჩება კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბება, ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედება, ამ ხელოვნების დაუფლება. ჩვენ ვერ დავჯერდებით ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედებას მარტოოდენ დადგენილებებითა და ოფიციალური დოკუმენტებით. ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ლიტერატურა და ხელოვნებაც უნდა ისახავდეს.

ის ფაქტი, რომ მხატვრული ნაწარმოებები, როგორდ დიდი ტირაჟითაც უნდა გამოიცეს, მაღაზიის თაროებზე არ ჩერდება, ჩვენი ლიტერატურის დიდ ავტორიტეტს მოუშომს, ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ ქმედითია მხატვრული სიტყვა და რაც მთავარია, ჩვენი ხალხის უდიდესი ეროვნული, სულიერი ენერგია, მისი ინტერესების გაფართოების, კულტურის დონის ამაღლების ნიშანია. მწერლების ეალია ღირსეულად ემსახურებოდნენ ხალხს, რომელსაც სჯერა მათი.

მით უფრო საჭირო და აუცილებელია პარტიის, ხალხის, შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთსულოვნების, ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცება. ამ ერთიანობას ვერ დაარღვევს ცხოვრებაში და ლიტერატურაში ხელმოკარული, განაწყენებული ცალკეული პირის მცდელობა უნდობლობა გააღვივოს და ეჭვი დათესოს ახალგაზრდობაში, ტრიბუნა დაიკავოს იქ, სადაც ღირსეული პასუხის გამცემი არავინ იქნება.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ დიდად შეიფასა რესპუბლიკის მწერალთა საქმიანობა ხალხთა ლენინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, აღნიშნა, რომ დღეს არა გვყავს არც ერთი მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებაში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის თემას არ შეხებოდეს. ამ თემის დამუშავება ყოველი ლიტერატორის უწმინდესი ვალია.

სკკპ პროგრამა, სსრკ კავშირის კონსტიტუცია, საბჭოური ცხოვრების წესი ყველა შესაძლებლობას გვიქმნის ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა ჰარმონიული განვითარებისათვის. კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, ეროვნულ კულტურათა განვითარების საკითხში ჩვენი საზოგადოების განუხრელი წინსვლის ფარანტიაა.

პარტიას მუდამ სწორად ესმოდა და ესმის დიდაენის როლი სოციალისტურ რევოლუციასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში. დღის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ენები კომუნიზმის დიდებულ იდეალებს ემსახურება.

ამ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ქართული ენის შემდგომი განვითარებისათვის, მისი სწავლების გაუმჯობესებისათვის. საიმედო ხელშია ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ხალხთა ენების ბედიც. ყველაფერი უნდა აიღოონთან აფხაზური და ოსური ენების შემდგომი განვითარებისათვის, კიდევ უფრო უნდა ავამაღლოთ აზერბაიჯანული და სომხური ენების სწავლების დონე. საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხო ენების შესწავლას.

ამასთანავე მშობლიურ ენასთან ერთად უნდა დაეუფლოთ რუსულ ენასაც, რომელიც ერების ურთიერთობის მძლავრი საშუალებაა და რომლის მეშვეობითაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ეზიარებიან ლენინ კულტურის, მეცნიერების, ცივილიზაციის საგანძურს.

ამხ. ე. ა. შევარდნაძე შეეხო წარმატებებს, რომლებსაც უკანასკნელ ხანს მიაღწიეს რესპუბლიკაში ხელოვნების ყველა დარგს, მხატვრობის, მუსიკის, კინოს და თეატრის მუშაკებმ., რაც ერთ-ერთი დასტურია ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი აყვავებისა, რომელიც შესაძლებელი გახდა კულტურისათვის პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვის გამოისობით, საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერის შედეგად. ეს უფრო მკაფიოდ ჩანს, ტოა საქმე ახალგაზრდა მწერლების აღზრდას ეხება. რესპუბლიკას აქვს შესაძლებლობანი, რათა გამოინახოს მუშაობის ისეთი ფორმა, რომ შემოქმედი ახალგაზრდობის არც ერთი ჯგუფი არ დაკარგოს ყოყოჩადოებოდ. ყოველნაირად უნდა ვიზრუნოთ მისი იდეური მომზადებისა და პროფესიული ოსტატობის დახვეწისათვის. ეს მუშაობა უნდა გაძლიერდეს უმაღლეს სასწავლებლებში, აკრეთვე საშუალო სკოლებში. ამ თვალსაზრისით მეტის გაკეთება მართებთან საქართველოს მწერალთა კავშირს.

მწერალთა ახალი თაობის ჩამოყალიბებისათვის ძალზე ბევრ რამეს აკეთებდა აქ მოხსენიებული გამოჩენილი ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. იგი მართლაც არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე პიროვნება და დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. ბევრი მისი ნამოწყობარი ახლა ნაყოფიერად შრომობს ლიტერატურულ სარბიელზე. უფროსი და საშუალო თაობის მწერლები დღესაც დიდად ავტორიტეტულნი არიან ახალგაზრდებს შორის, და უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ მათთვის, დავეხმაროთ შემოქმედებითს აქტიურობაში. მაგალითად, მსახიობთა მოსამზადებლად სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს; ასევე სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს კომპოზიტორებს, მხატვრები სამხატვრო აკადემიაში სწავლობენ და ა. შ., ლიტერატურაში კი ჩამოყალიბების, ოსტატობის დახვეწის პროცესი ხშირად თვითდინებაზეა მიშვებული. მხედველობაში გვიყავს არა ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც უკვე აქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს, არამედ ისინი, ვინც ახლა იდგამს ფეხს ლიტერატურაში. ისევე, როგორც სხვა დარგებში, აქაც საჭიროა გარკვეული პროგრამა, გარკვეული სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს.

შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საუბარი ჩამოაგდო საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის იდეოლოგიურ ინსტიტუტებში, კერძოდ ლიტერატურულ პროცესსა და პრესაში დემოკრატიული პრინციპების გაღრმავების თაობაზე. და კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან და რთულ საკითხს შეეხო. ეს არის შობადობის დაბალი დონე საქართველოში. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, ერთი ხელის მოსმით არ გადაიჭრება. აქ უამრავი საკითხი დგება: საჭიროა ბინები, სამაგვრო ბაგა-ბაღები, კანონმდებლობა... ჩვენ ვამუშავებთ ამ საკითხს და დროთა განმავლობაში, ალბათ, გეგმაზომიერ ხასიათსაც მიიღებს ჩვენი ზრუნვა. საქმე ის არის, რომ ამ პრობლემისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ვერ ვიჩენთ ოჯახებში. ჩვენს შვილებს, ჩვენს შვილიშვილებს უნდა ჩავუნერგოთ მომავალი თაობებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ თემასთან კავშირში ალკოჰოლიზმი, ეს სახუმარო თემა არ არის. მეტი შვილი ნიშნავს მეტ ოჯახს, მეტ ჯარისკაცს, მეტ მუშას, მეტ მეცნიერს, მეტ მწერალს, მეტ დოკლათსა და სახელმწიფო ძალიერებას. ჩვენმა მწერლებმაც უნდა ფაუთმონ ამ საკითხს ყურადღება — ლექსი იქნება, მოთხრობა თუ პიესა — პროპაგანდა გაიწიონ ერის გამრავლებას. ასეთი ნაწარმოები კი ძალიან ცოტა გვაქვს. ჯანსაღი პოზიციებიდან, სახელმწიფო პოზიციებიდან, თვით ერთვნული პოზიციებიდანაც კი უნდა მივუდგეთ ამ პრობლემას.

დღევანდელმა ჩვენმა ფრიად საჭირო, შინაარსიანმა საუბარმა, თქვა დასასრულ მან, ცხადყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრებს, და მომთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა ეს შეხვედრები ტრადიციად დამკვიდრებულიყო.

* * *

დღეს საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ ულოცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ლენინური პრემიის მინიჭებას ტრილოგიისათვის, რომელიც ასე შეიყვარა მკითხველმა და პოპულარულია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. საამბოხლოს უმაღლესი ჯილდოს გადაცემისას საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების წინაშე ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩავუნდეთ პრაქტიკულ ცხოვრებას, დავეხმაროთ ხალხს უფრო ნათლად ესმოდეს ამ ცხოვრების არსი და მისი მომდინარეობის მიმართულებანი, დავეხმაროთ ეს ცხოვრება გახადოს უკეთესი, უფრო სწორი, უფრო ნათელი, უფრო მდიდარი ჟრა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც“.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ზეირვზე

ზეკანონებენებენ
სპეციალისტ და
ანალიზ ამბებენ
სპეციალისტ
კორესპონდენტები

მუშვიდობის დაუცხრომელი მებრძოლი

ფარიზი. საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისათვის ლენინური პრემიის გადაცემამ წიგნებისათვის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამარი“, მშვიდობის საკეთილდღეოდ დაუცხრომელი ბრძოლისათვის, ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვამ პრემიის გადაცემის ცერემონიაზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევი არის თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის თანამიმდევრული მებრძოლი. მისი წიგნების ფურცლებიდან ჩამეფიოდ და გარკვევით წარმოგვიდგება თავისი ხალხის დიდი შვილის, ლენინის უკვდავი საქმის ერთგული განმგრძობის სახე.

მილიონობით ადამიანი საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გულწრფელად უხდიან მადლობას მისი შესანიშნავი წიგნებისათვის, რომლებიც მათ შთაგონებს ახალ საგმირო საქმეებს სოციალიზმის და კომუნიზმის, დემოკრატიისა და თავისუფლების ტრიუმფისათვის, წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“.

ღრმა ჰუმანიზმი, უდიდესი ზრუნვა მშვიდობისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის — აი რა ახასიათებს სიტყვას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა მოსკოვში მისთვის ლენინური პრემიის გადაცემის ცერემონიაზე, ხაზგასმით აღნიშნავს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“.

მოსკოვში გამოსულისას ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ მთელი შემეძინილი გამოცდილება, აღლანდელი საერთაშორისო ვითარება, განსაკუთრებით უკანასკნელი პეროიდის ფაქტები გვიდასტურებს ფალია მუდამ მშრალად ვიქონიოთ, ვიყოთ მტკიცენი და თანამიმდევრულნი მშვიდობის საქმის დაცვაში, გვახსოვდეს ჩვენი ისტორიული პასუხისმგებლობა საომბლოსა და მთელი კაცობრიობის ბედისათვის, წერს ამერიკული „ვაშინგტონ პოსტი“.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ოთხმოცდაანი წლები, რომელიც უკვე თვლის თავის პირველ თვეებს, — ეს არის ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების, მრავალფეროვანი და რთული საკითხების გადაწყვეტის წლები, აღნიშნავს ინგლისური „მორნინგ სტარი“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას, ისევე როგორც ყველა საბჭოთა კომუნისტს, მიაჩნია თავისი თავი პარტიული პოლპანდის მიერ მობილიზებულად და თავის მოვალეობად თვლის აქტიურად მონაწილეობდეს პარტიული პრესის მუშაობაში, წერს იტალიური „ჯორნალე“. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შეასრულონ საბჭოთა ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ხალხის ცხოვრება.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ გრინსბოროში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) გაიმართა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის, კუ-კლუქს-კლანის საქმიანობის, ნეოფაშიზმის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. შარშან ნოემბერში აქ კუკლუქსკლანელებმა დახოცეს მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის 5 აქტივისტი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის მებრძოლი 100 სხვადასხვა ორგანიზაციის 1.000 წარმომადგენელმა.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი.

ადნ-საბჭოსინ ფოტო.

ბრეჟნევი ბერლინში

ბერლინი, 2 აპრილი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხები“ დიდი წვლილია განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკაში, წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ტრიბუნა ლუდუ“.

იგი სტატიას აქვეყნებს „ქსენეკა ვეიტას“ გამომცემლობაში ამ წიგნის პოლონური ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. წიგნში შეიკრა ლ. ი. ბრეჟნევის 1964 წლის ნოემბრიდან 1977 წლის ოქტომბრამდე პერიოდის სიტყვები, გამოსვლები, სტატიები და მისალმებები, რომლებიც შეიკვეს გამონთქვამს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად საკითხებზე.

დაუსაბუთებელი დაპატიმრება

დაკა, 2 აპრილი. გუშინ ყოველგვარი ბრალდების წაყენებლად დააპატიმრეს ბანგლადეშის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მოპამეი ფარაფიი. ამავე დროს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დააპატიმრეს ათობით კომუნისტი.

ბანგლადეშის ცხრა სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ პროტესტი განაცხადა ამ დაუსაბუთებელ დაპატიმრებათა გამო.

გაიფიცნენ საზღვაოდოვგრივი ტრანსპორტის მუშაკები

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. შეერთებულ შტატებში უდიდესი ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის 35 ათასამდე მუშამ და მოსამსახურემ გაფიცვა გამოაცხადა. უკანასკნელი 14 წლის მანძილზე მშრომელთა ამ რაზმის წარმომადგენლებმა პირველად დატოვეს თავიანთი სამუშაო ადგილები და მოსთხოვეს ქალაქის ხელისუფლებს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება, რომელიც კათვალისწინებს ხელფასის მომატებას საშინელი სიძვირის პირობებში.

ფაფიცვამ მთლიანად მოშალა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, რომელიც ყოველდღიურად ამ ქალაქის 5 მილიონზე მეტ მცხოვრებსა და სტუმარს ემსახურება. შეწყდა მეტროპოლიტენის მატარებლების მოძრაობა. დეპოში დაბრუნდნენ ავტობუსები, რომლებიც მუშაობენ ტროლეიბუსებზე, რომელთა საერთო სიგრძე 2560 კილომეტრს შეადგენს. გამოანგარიშებულია, რომ — ქალაქის ხელისუფალთა ყოველდღიური ზარალი დაახლოებით 140 მილიონ დოლარს შეადგენს.

როგორც დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, ნიუ-იორკის ტრანსპორტის მუშაკები იძულებული გახდნენ ყოველიფერ ეს ქალაქის ხელისუფალთა პოლიტიკის გამო, რომელიც ეკონომენტ ფინანსური სიძნელეები გადაჭრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებ ... ...

ანთროპისტული თემაზე

რას ღალადებენ მანუსკრიპტები

□ ქრისტე, მითი და სინამდვილე □ ქრისტეს „შექმნის“ წყაროები □ სენსაციური აღმოჩენა კუმრანში □ ახალი ქრისტე — კოსმონავტი

როდესაც იესები ცხოვრობდა, ქრისტე არ არსებობდა, როდესაც ქრისტე შეიქმნა, იესო გარდაცვლილი იყო. იესო ქრისტე არ არსებობდა.

ანრი ბარბიუსი.

„ისე მედიდურად, თავმომწონედ არა მგონია სადმე დაფარფაშებდეს უმეცრება, ცრუმორწმუნეობა, როგორც ჩვენში. ხილული და უხილავი ცრუმორწმუნეობას ასაზრდოებს“,— წერდა „იერია“ 1893 წელს. რევოლუციამდელ საქართველოში საგრძნობლად ფეხმოკიდებული იყო სხვადასხვაგვარი მავნე, ანიმისტური, მაგიური, ქრისტიანული რელიგიის რიტუალები. მასობრივად ეწყობოდა რელიგიური დღესასწაულები, რომლებშიც მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობდა.

წარსულს ჩაბარდა მოქმედი ეკლესიებითა და მონასტრებით დაფარული საქართველო. არსებითი ხასიათის პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების შედეგად საქართველო მასობრივი ათეიზმის რესპუბლიკა გახდა. ქართველი ხალხის ეკონომიკურმა და სულიერმა აყვავებამ, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მისი საქმიანობის იმ სფეროზეც, სადაც მოქმედებს ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, ადათები.

მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღმოფხვრის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი თვალსაჩინო დოკუმენტია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მისი მიღებიდან საკმაო დრო გავიდა და დღეს თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა რელიგიური ცრურწმენადოლებების დაძლევის საქმეში.

შეიქმნა ახალი სოციალისტური საქართველოსათვის დამახასიათებელი დღესასწაულების კომპლექსი, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და ერისათვის თავდადებული გმირების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „შოთაობა“, „ილიაობა“, „ვაჟაობა“, „იაკობობა“, „გარეჯობა“, „ტარასობა“ და სხვა დღესასწაულები საერთო-სახალხო დღესასწაულებად გადაიქცა.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სწორედ ზემოაღნიშნულ დღესასწაულებში მონაწილეობს და ახალი, საბჭოური წეს-ჩვეულებებით ცხოვრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ და ასრულებენ სხვადასხვაგვარ რელიგიურ რიტუალებს. ჩვენში ყველაზე მეტად შემორჩენილია ქრისტიანული რელიგიის ისეთ დღესასწაულებში მონაწილეობის მავნე ტრადიცია, როგორიც არის შობა, აღდგომა, სულთმოფენა და სხვა.

ქრისტიანობა ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა. იგი გარკვეულ საზოგადოებრივი-ეკონომიკურ პირობებში ჩამოყალიბდა. ამ რელიგიის დოგმატიკა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა.

სხვა რელიგიური მიმდინარეობების მსგავსად, ქრისტიანობასაც შემოუკეთებული აქვს ადამიანებზე ზემოქმედების სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენა. თეოლოგების მტკიცებების თანახმად, ადამიანი ორი ფიზიერთსაწინააღმდეგო ნაწილისაგან შედგება: მომაკვდავი სხეულისა და უკვდავი სულისაგან. მათი განმარტებით, სანამ ადამიანი ცოცხალია, მისი სული სხეულშია, ხოლო სიკვდილის შემდეგ იგი თავისუფლდება ამ ტყვეობისაგან. ამის შემდეგ შეიძლება სული მუდმივ ნეტარებაში — სამოთხეში, ანდა შუამდგომ ტანჯვა-ჯოჯოხეთში მოხვდეს. თუ მორწმუნე იცავს რელიგიის მოთხოვნებს — მონაწილეობს რელიგიურ დღესასწაულებში და ასრულებს რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ვზას გაიკაფავს სამოთხისაკენ.

თანამედროვე მეცნიერების განვითარებამ ნათელი გახადა იმქვეყნიური სამყაროს არსებობის მითი.

ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიისა და დოგმატიკის შინაარსი, ამ რელიგიის დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები მთლიანად იესო ქრისტეს სახელთან არის დაკავშირებული. მაგალითად, იესო ქრისტეს დაბადება აღინიშნება შობის, მისი მონათვლის დღე — ნათლიღების, სულიწმინდის მოფენა — სამების, მკვდრეთით აღდგომის—აღდგომის დღესასწაულებით და ა. შ. ამდენად პრინციპული მნიშვნელობას იძენს საკითხი — არსებობდა თუ არა რეალურად ქრისტე.

იესო ქრისტეს, როგორც ისტორიული პიროვნების შესახებ მსჯელობა მეცნიერებაში მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყო. მანამდე ამ თემაზე საუბარი სასტიკად იყო აკრძალული.

თავდაპირველად ეგრეთ წოდებული ტიუბინგენების სკოლის წარმომადგენელმა, ჰეგელიანელმა შტრაუსმა სახარების გულდასმით შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ სახარება ქრისტეს თვითმხილველთა ნაამბობი კი არა, დაკარგულ წერილთა მოგვიანო დამუშავებაა; რომ ქრისტეს ცხოვრების აღწერებში ბევრი შეუსაბამობა და წინააღმდეგობაა. ამდენად შტრაუსმა ქრისტეს არსებობის სახარებისეულ საფუძველს ნიადაგი გამოაცალა.

ამის შემდეგ დაიწყო სახარების სისტემატიური კრიტიკული შესწავლა. ეგრეთ წოდებული მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლებმა — რობერტსონმა, დრიუსმა, კუშემ და სხვებმა დაამტკიცეს ქრისტეს პიროვნების მითიურობა, დაადგინეს, რომ იესო ქრისტე სინამდვილეში არ არსებობდა, რომ იგი გამოგონილია და ამდენად გარკვეული მიზნებისათვის შეთხზულია ის რელიგიური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანიც, რომლებიც ქრისტეს სახელთან არის დაკავშირებული.

იესო ქრისტეს არაისტორიულობის ძნიშვნელოვან არგუმენტად მიჩნეულია ისიც, რომ ქრისტეს შესახებ არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან ის ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და მწერლები, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ, როდესაც, თეოლოგების განმარტებით, ქრისტე ცხოვრობდა. მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია რომაელი ისტორიკოსები ტაციტი და სვეტანიუსი, ფილოსოფოსები ფილონი და სენეკა, ისტორიკოსი და მწერალი პლუტარქე. ისინი დაწვრილებით აღწერენ ქრისტეს ცხოვრებისდროინდელ ამბებს, ახასიათებენ იმ პიროვნებებში მცხოვრებ თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას, შეფასებას აძლევენ უმნიშვნელო მოვლენებსაც კი, მაგრამ არსად არ ლაპარაკობენ ქრისტეს არსებობის შესახებ. რაც შეეხება ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში ქრისტეს ხსენებას, როგორც სპეციალურმა კვლევამ დაამტკიცა, ეს ადგილები თვით ამ დოკუმენტების ავტორების მიერ არ არის დაწერილი, ისინი მოგვიანებით თეოლოგებს ჩაუმატებიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ქრისტე არ არსებობდა, როგორ და რატომ შეიქმნა ლეგენდა მის შესახებ?

ქრისტიანობა რომაელთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მონათა შორის წარმოიშვა. რომაელები საშინელი სიმკაცრით ეპყრობოდნენ დამარცხებული ქვეყნების მცხოვრებლებს. ამ უკანასკნელთა ყველა ცდა — თავი გაეთავისუფლებინათ დამპყრობლებისაგან, ჩაეფლეგრივ, მარცხით მთავრდებოდა და როდესაც ამოიწურა რომაელი მჩაგვრელებისაგან თავის ხსნის ყოველგვარი იმედი — ერთადერთ ნუგეშად ზეციური, ღვთაებრივი ძალა იწყმუნეს. ასეთ პირობებში შემოშავდა შეხედულება ზეციდან მესიის — მხსნელის მოვლინების შესახებ. მათი აზრით, ეს მესია ხალხს თავისუფლებას მოუტანდა.

იესო ქრისტეს პიროვნება, მისი ბიოგრაფია წლების განმავლობაში იქმნებოდა ღვთისმეტყველების ბიერ. ეს ბიოგრაფია და მასთან დაკავშირებული ყველა რელიგიური დღესასწაული და წეს-ჩვეულება შეთხზულია წარმართული, იუდაური და აღმოსავლეთის მისტიკური შეხედულებების საფუძველზე.

უკანასკნელ წლებში ახალი მონაცემების გათვალისწინებით კიდევ უფრო ზუსტდება ქრისტიანობის დღესასწაულების წარმოშობის ისტორია. ამ მიმართულებით ბევრი ახალი მოსაზრება გამოითქვა 1948 წელს მწყემს მუჰამედ ად-დიბის მიერ კუმრანის უდაბნოში შემთხვევით აღმოჩენილი უზარმაზარი წიგნთსაცავის მასალების ინტერპრეტაციის დროს. კუმრანის ბანუსკრიპტების შესწავლამ დაადასტურა, რომ ქრისტიანობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ქრისტეს მსგავსი წინამძღოლის განზოგადებული სახე რეალურად არსებული თემის მმართველთა საფუძველზე, თორემ ქრისტეს ბიოგრაფიის შემთხზველებს ამ წინამძღოლის ცხოვრებიდან ბევრი რამ უსესხებიათ, გადაუმუშავებიათ და ორიგინალური თხზულებად გამოუცხადებიათ. უფრო მეტიც, კუმრანში ბიბლიის მთელი რიგი წიგნების პირველწყაროებიც აღმოჩნდა. ამით კი დასაბუთდა, რომ ბიბლია რელიგიური წიგნი არ არის და მის წარმოშობას მიწიერი საფუძვლები აქვს. ბიბლიის წიგნებში სწორედ ის არის მკაფიო და უარსაყოფი, რაც მოკლულია რელიგიური ბურუსით.

გრძნობენ რა ქრისტეს პიროვნების რეალობის დამტკიცებისათვის თეოლოგიის მიერ შემუშავებული არგუმენტების უსუსურობას, თანამედროვე ღვთისმეტყველები თხზავენ ახალ დებულებებს. ქმნიან ახალი ქრისტეს მოდელს. ერთ-ერთი ასეთი დებულების სახით წარმოდგება მოძღვრება ქრისტეკოსმონავტის შესახებ. ამ დებულების მომხრეთა მსჯელობის თანახმად, ქრისტე იმდროინდელ დედამიწას მოვლენია სხვა, განვითარებული პლანეტიდან. იგი განათლებული პიროვნება იყო და მისი ქმედებანი სასწაულად ჩათვალეს. შემდეგ მისი დასჯა მოინდომეს, მაგრამ იგი სპეციალური აპარატურის საშუალებით ისევ დაბრუნდა სხვა პლანეტაზე, რაც მკვდრეთით აღდგომად აღიქვეს.

ახალი ქრისტეს მოდელის შექმნაზე ზრუნავა ნათლად ადასტურებს რელიგიის კრიზისს. რაც მთავარია, ქრისტეს პიროვნებასთან დაკავშირებული დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები უნიადაგოა. მათი აღნიშვნით კი ადამიანები არა მარტო უქმად კარგავენ დროს, არამედ ზიანს აყენებენ საკუთარ თავსაც.

დ. გეგეშიძე,
დოცენტი.

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ედიშერაშვილმა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. ჯორბენაძემ და ქალაქის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იდეა უფრო უნდა დაიბვეწოს საქმიანობა სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის. განსაკუთრებით გაესვა ხაზი, რომ მოსამართლეებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ კანონის ძალა სანიშ- დამნაშავეობასთან ბრძოლაში, არ შეასუსტონ ეს ბრძოლა. ეართულწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ბელენკომ გაიზარდა ორგანიზაციული ხასიათები. დამტკიცებულია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობანი. და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული [illegible] მადგენლობა.

მეცნიერულ საფუძველზე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲒᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ახალი შემადგენლობის პლენუმის პირველი სხდომა.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ედიშერაშვილმა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. ჯორბენაძემ და ქალაქის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იდეა უფრო უნდა დაიბვეწოს საქმიანობა სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის. განსაკუთრებით გაესვა ხაზი, რომ მოსამართლეებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ კანონის ძალა სანიშ- დამნაშავეობასთან ბრძოლაში, არ შეასუსტონ ეს ბრძოლა. ეართულწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ბელენკომ გაიზარდა ორგანიზაციული ხასიათები. დამტკიცებულია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობანი. და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული [illegible] მადგენლობა.

თათბირ-სემინარზე

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.) ამ-ას წინათ რაიისაბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული სახლი საარტო დარბაზში ჯიმბრთა საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, ამხანაგური სასამართლოების წევრებისა და სახალხო რაზმეულების შტაბების უფროსების თათბირ-სემინარი, რომელია მონაწილეებმა განიხილეს რაიონში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და ამ საქმეში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების საკითხი. მოხსენება გააკეთა რაიონის პროკურორმა ალ. წულუკიძემ.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ბ. ჯალაღანია, სახალხო მოსამართლე რ. რეხვიაშვილი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. წერეთელი. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ გ. დვალმა, ხვანჭკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქიქნაძემ, ლიხეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. სირაძემ და სხვებმა.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჩიტაღავიძემ. სემინარის მონაწილეებმა დასახეს მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა აღმოფხვრის ორგანიზაციული ღონისძიებანი.

კამათი დანაშაულზე

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ ჩხუტელის საშუალო სკოლაში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მერვე კლასის მოსწავლემ ს. მეშველიანმა ბაფურთხილებლობის შედეგად თვითნაკეთი თოფით თანაკლასელი ბ. კვირიკაშვილი დაჭრა. მომხდარ დანაშაულს ამ დღეებში მიეძღვნა მოსწავლეთა და მშობელთა დისპუტი თემაზე: „როცა ჩვენი თანატოლები დანაშაულს სჩადიან“.

დისპუტზე გამოსულმა პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გააანალიზეს მომხდარი დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები, თქვეს, რომ საჭიროა განმტკიცდეს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის კავშირი.

დისპუტში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროკურორმა ვ. ნიკოლაიშვილმა, სახალხო მოსამართლემ ვ. ჯაბეკანიძემ და შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა ვ. საგანელიძემ. მათ თავიანთ გამოსვლებში ვრცელად ილაპარაკეს მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის აქტიალურ საკითხებზე.

სასამართლოს დარბაზიდან

განსაკუთრებული სკკპ

...**ᲘᲓᲔᲜᲐ** დიდი მომავალი ელოდათ სპორტში, მაგრამ მათ თავიანთი ნიჭი სხვა რამეს მოახმარეს: ტყვეს პატროებს ხდიდნენ კორპუსიდან კორპუსში მიმავალ სტუდენტებს და... რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გარბოდნენ. ფინნმაც შესაბამისი აღმოჩნდა — მილიციის ორჯონიკიძის რაიონის განყოფილებაში.

თავიანთი სპრინტერული თვისებები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე აჩვენეს საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის აწ უკვე ყოფილმა მესამეკურსელებმა ფ. გრიგორიანმა, კ. შანნაზაროვმა და ი. კანონიკოვმა, რომლებიც წესითა და რიგით ამ დროს მეცადინეობაზე ოდნავ ყოფილყვნენ.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს მათი მოქმედება შეაფასა „პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილ გაძარცვად“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი) და სასჯელის ზომად თითოეულს 4-4 წელი განსაზღვრა. ისინი სასჯელს გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოიხდიან.

გარდა ამისა, სასამართლომ ერძო განჩინება გამოიტანა საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის დირექციის მიმართ. განჩინებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს სასწავლო დისციპლინა და გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა ამ უმაღლეს სასწავლებელში. (საინფორმი).

ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲗ... ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘᲡ

ᲠᲐᲓᲐ ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ა. ჩაქრავა მილიციელ, პროკურატურა, სასამართლო. არადა, ამდენი სადავო და სადავოდარაბო არაფერი იყო. თბილისელი მოქალაქე შ. თეთრაძე ვიწროდ ცხოვრობდა ოჯახით და ახალი ბინის მიღების მოლოდინში დროებითს თავშესაფარს ეძებდა, რომ მდგმურად შესულიყო. ამ გაჭირვებამ იგი 1974 წლის ზაფხულში მარგალიტა ივანეს ასულ სარალიძის კარზე მიიყვანა, რომელიც მან ანა იოსების ასული პაპავაძის მეშვეობით გაიცნო. მორიგდნენ, და შ. თეთრაძის ოჯახი ბიროს წესით შევიდა მ. სარალიძის ბინაში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის ერთ ოთახში, რისთვისაც მან 4850 მანეთი გადაიხადა იმ პირობით, რომ ორი წლის შემდეგ, როცა ბინას გაათავისუფლებდა, სახლის პატრონი ამ თანხას უკანვე დაუბრუნებდა. ამის საგარანტიოდ შ. თეთრაძემ მ. სარალიძეს ხელწერილი გამოართვა, ვითომ ეს თანხა მისთვის სესხად ჰქონდა მიცემული.

შ. თეთრაძე თავისი ოჯახით მაშინვე ჩასახლდა და დაბინავდა მ. სარალიძის გირაოდ აღებულ იმ ერთ ოთახში, მაგრამ სამ თვესაც არ გაუვლია, რომ სახლის პატრონმა გამოუცხადა: ბინა დამიცალე ან თვეში 100 მანეთი ქირა გადამიხადეო. ამაზე მდგმურმა, რაღა თქმა უნდა, უარი უთხრა და გირავნობის პირობა გაუხსენა. რა პირობა, რის პირობაო, — დაიფრინა დიასახლისმა და, მართალია, რომ ვერაფერს გახდა, ქალიშვილი და სიძეც მოიშველია. მაგრამ თეთრაძეებიც მაგრად იდგნენ და სულაც არ აპირებდნენ დათქმულ დროამდე ბინის დაცლას.

მაშინ ადგა ქალბატონი მარგალიტა სარალიძე და ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს მიმართა: ასე და ასეა საქმე, მდგმური შემოვიყვანე სახლში, როგორც კაპიტალს — 35 მანეთს ვახდევინებდი თვეში, ახლა არც იმას მიხდის და არც ბინის დაცლა სურსო. შ. თეთრაძემ სასამართლო პროცესზე, რომელსაც მოსამართლე გ. ჭედია თავმჯდომარეობდა, ბევრი იყვირა და ითავეკვა, ტყუის, არ დამიოპოთ, არ დაუჯეროთ მაგას, თაღლითია, აფერისტია, სიმწრით ნაშოვნი ფული უნდა გამომძალოსო, საბუთებიც წარადგინა, მოწმეებიც წაასახელა თავის სიტყვების დასამტკიცებლად, მაგრამ სასამართლო რატომღაც მ. სარალიძის „პატიოსან სიტყვას“ ენდო, შ. თეთრაძეს კი არ დაუჯერა და სარჩელი დააკმაყოფილა. შ. თეთრაძის ოჯახს ბინიდან გამოსახლება გადაუწყვიტა.

მკითხველს არ მოვაბეზრებთ თავს იმის დაწვრილებით აღწერით, თუ რა ტანჯვა-წამება გადაიტანა ამის შემდეგ თეთრაძეების ოჯახმა. სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონის ძალა ჰქონდა, და ამიერიდან უკვე თაღლითის და მოძალადის მხარეზე იყვნენ სასამართლოს აღმასრულებელი, პროკურატურა და მილიცია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაარბიეს და აიწოკეს თეთრაძეები, გარეთ უყრიდნენ ბარგს, ღამით მიუხტებოდა ხოლმე სახლის პატრონი და ძილსა და მოსვენებას არ აძლევდა, საჩხუბრად იწვევდა, შანტაჟს უწყობდა.

ბოლოს, როგორც იყო, იმასია მიაღწია შ. თეთრაძემ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერებინა, ამით დრო მოიგო და თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ზედამხედველობის წესით. აქ კი მართალია რომ, დიდი გულისხმიერებით, ობიექტურად, ჭეშმარიტების ღრმა პატივისცემით მოეკიდნენ საქმეს და თავმჯდომარის მოადგილის ლამარა ჩორგოლაშვილის პროტესტის საფუძველზე საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა გაუქმა ორჯონიკიძის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეთა მითითებით ხელმეორედ გარჩევისათვის დაუბრუნა იგი ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სახალხო სასამართლომ ამჯერად. მოსამართლე ზ. ქადაგიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ შ. მერაბიშვილის მონაწილეობით გაარჩია საქმე და თავის 1977 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით ქვლავ შ. თეთრაძე გაამტყუნა, მაგრამ საქალაქო სასამართლოს კოლეგიამ ეს გადაწყვეტილებაც გააუქმა და საქმე ცალკი უკან დაბრუნა — ჩათვალა, რომ სახალხო სასამართლომ არ შეასრულა საქალაქო სასამართლოს მითითებანი და საქმე საფუძვლიანად არ გამოიძია.

მარგალიტას კაკანათი.
გ. ლომბიძის ნახატი.

ბოლოს, ბოლოს, როგორც იტყვიან, სამართალმა ფური ჭამა. მაგრამ, ნუთუ ხუთი წელი იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ მარტივ სიტუაციაში მართლმსაჯულების მსახურთ მრუდი და მართალი გაერჩიათ და თაღლითები გამოეკვლინათ?! რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა, რამდენი ადამიანი მოკდა და გაწვალდა ამ ეგბრალო საქმის გამო! არადა, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში იმთავითვე, პირველივე სასამართლო პროცესზე, რომელზეც მ. სარალიძის საჩჩელს განიხილავდნენ, ცოტა მეტი დაკვირვებით და გულისხმიერებით რომ მოჰკიდებოდნენ საქმეს, ეს არ მოხდებოდა.

კვლევაზე საკვირველი და აღმაშფოთებელი კი ამ საქმეში ის აოს, რომ თაღლითმა გაბედა და შეეკადა თავისი ავი ზრახვის აღსასრულებლად სასამართლო მოეშველიებინა და თავისი დანაშაული კანონის ძალით განემტკიცებინა. და, როგორც დაინახეთ, კიდევაც მიაღწევდა ამას, რომ არ გამოჩენილიყვნენ ადამიანები, რომლებსაც მართლა რომ ღირსულად უპყრიათ ხელთ მართლმსაჯულების კვერთხი.

მ. რობაქიძე.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲖᲔ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.) ამ-ას წინათ რაიისაბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული სახლი საარტო დარბაზში ჯიმბრთა საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, ამხანაგური სასამართლოების წევრებისა და სახალხო რაზმეულების შტაბების უფროსების თათბირ-სემინარი, რომელია მონაწილეებმა განიხილეს რაიონში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და ამ საქმეში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების საკითხი. მოხსენება გააკეთა რაიონის პროკურორმა ალ. წულუკიძემ.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ბ. ჯალაღანია, სახალხო მოსამართლე რ. რეხვიაშვილი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. წერეთელი. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ გ. დვალმა, ხვანჭკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქიქნაძემ, ლიხეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. სირაძემ და სხვებმა.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჩიტაღავიძემ. სემინარის მონაწილეებმა დასახეს მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა აღმოფხვრის ორგანიზაციული ღონისძიებანი.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ჩვენი გაზეთის სპეციალურ განყოფილებაში „წესი, რიგი და ჩვენ“ დაბეჭდილ წერილში „პროფილაქტიკა მთავარი მიმართულებაა“ ლაპარაკი იყო მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ამის გამო რედაქციამ ორი პასუხი მიიღო. პირველ პასუხში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ფხაკაძე გვატყობინებს: გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია „პროფილაქტიკა მთავარი მიმართულებაა“ სინამდვილეს შეესაბამება.

ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი — „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკური აქტივის კრების დადგენილებების შესასრულებლად ტყიბულის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა პრინციპული შეფასება მისცა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამინისტრაციული და სამეურნეო ორგანოების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას და დასახა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამასთან საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მუშაობა.

შემოღებულია და უკვე მოქმედებს პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებისადმი კონტროლის მწყობრი სისტემა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ყოველი თვის მეორე სხდომაზე სპეციალური გეგმის მიხედვით ვისმენთ ინფორმაციებს მართლწესრიგის განმტკიცების ცალკეულ პრობლემებზე. მუშაობის ასეთივე პრაქტიკა არის დანერგილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოშიც. აქაც ყოველი თვის პირველ სხდომაზე ისმენენ ინფორმაციებს არსებული მდგომარეობის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნაარიანობის ამაღლებას. ფართოა ქტივზე დაყრდნობით გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩააბან მუქთახორები და ისინი, ვინც თავს არიდებს შრომას. შრომითს კოლექტივებში ოპერატიულად მსჯელობენ ხმათაზე, ვინც დანაშაული ჩადენია.

დანაშაულობათა თავიდან აცილების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეული სამსახურების მიხედვით შედგენილია სამუშაო გეგმები, რომელთა შესრულებას სათანადო კონტროლი ეწევა. ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად წარიმართოს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის მუშაობა.

მეორე პასუხში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე გვწერს:

ქ. ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მისამართით გამოთქმული კრიტიკა მთლიანად შეესაბამება სინამდვილეს.

ჯერ კიდევ შარშან სექტემბერში მოვაწყეთ ამ განყოფილების კომლექსური შემოწმება, რომლის დროსაც სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. შემოწმების შედ

ჩვენი საინფორმაციო საქმისათვის

დრო, ამბები, მოვლენები

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

უზადო ტექნიკა და არტისტიზმი

ძველია ევროპისა და ამერიკის ამ მუსიკალური ცენტრების ჩამოთვლა, სადაც ტრიუმფით გამოდიოდა საქართველოს კომკავშირის პრემიისა და საერთაშორისო კონკურსების লაურეატი ლ. თორაძე. მისი მხატვრული ხედვის ჰორიზონტი ფართო პიანისტური გაქანებით ხასიათდება, ხოლო დაკვრის სტილი საოცარი ინდივიდუალობით გამოირჩევა, რაც არა მარტო პიანისტურმა შრომამ, არამედ შესასრულებელი ნაწარმოების გარშემო არსებული მასალების ძირფესვიანმა შესწავლამ განსაზღვრა. მის საკონცერტო გამოსვლებს ყოველთვის აღფრთოვანებით ეხმაურება საზღვარგარეთის და საბჭოთა კავშირის პრესა.

... და მაინც, როცა შობლიურ ქალაქში გამოდის, განსაკუთრებით ღელავს. ახლაც, თბილისს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში რომ გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის საღამო, ღელავდა არა მარტო პიანისტი, არამედ მთელი დარბაზი. ასეა, დიდ ხელოვნებასთან შეხვედრა მღელვარებას იწვევს. ლექსომ შეასრულა ლისტის „ნუგეში“, სონატა სი-მინორი და ნათლად გამოხატა ადამიანურ განცდათა მონაცვლეობა: მწუხარება, სიხარული თუ საბრძოლო შემართება და სწრაფვა მაღალი იდეალებისადმი.

„სონატა სი-მინორი ისევე ამაღლებული, დიდებული და კეთილშობილებით აღსავსე, როგორც შენ“, — სწერდა ლისტს რ. ვაგნერი. პიანისტმა, სონატა სი-მინორის ეს უდიდესი ღირსებები მაღალი პიანისტური ხელოვნებით სრულყო. დრამატული კონფლიქტები, გმირული სახეები, ამაღლებული ქორალები, რომლებსაც ნაზი ლირიკული სახეები ენაცვლება, თავისებური პიანისტური შტრიხებით გაანალიზა და ეს ორკესტრული ხასიათის ნაწარმოები კიდევ უფრო რაფინირებულად აჟღერდა, რაც მოწმობს იმას, რომ ლ. თორაძე თავისი ხელოვნებით ორკესტრული ჟღერადობის ოსტატად გვევლინება. მკაფიოდ გაისმის მის დაკვრაში ნაირფეროვანი ტემბრები: ჩელოს მღერადი ბგერები, არფის მშვენიერი პასაჟები, საყვირის გამყინავი თუ ჰობოის რბილი ბგერა, ორგანის ხავერდოვანი, რომანტიკული ჟღერა.

ლ. თორაძემ შეასრულა აგრეთვე ალ. მაჭავარიანის „ქართული ფრესკები“, მართლაც რომ, დახატა ამ ნაწარმოების მუსიკალურ-ფრესკული ხასიათი, განიცადა შობლიური, ნატიფი ინტონაციები. მეტად საინტერესოდ წარმოაჩინა პიანისტმა იმპრესიონისტული ხელოვნების თავისებური, მდიდარი შინაგანი სამყარო. უაღრესად ორიგინალურად შეასრულა მ. რაველის ციკლური ნაწარმოები „ანარეკლები“, რომელშიც გაერთიანებულია ხუთი პიესა: „ნავი ოკეანეში“, „ღამის მოჩვენებები“, „მოწყენილი ჩიტები“, „მასხარას დილის სერენადა“, „გამოძახილი ხეობაში“. განსაკუთრებით ექსპრესიული იყო კონცერტის ფინალი — პიანისტმა დაუკრა სტრავინსკის ბალეტის „პეტრუშკას“ სამი ფრაგმენტი და საბოლოოდ მოაჯადოვა მსმენელი შესრულების უზადო ტექნიკითა და არტისტიზმით. აქვე გვინდა გაცნობოთ ის ამბავი, რომ ჩრდილოეთ ტეხასის სატელევიზიო სადგურმა გადაიღო ფილმი-კონცერტი ქართველი პიანისტის შემოქმედებაზე, და უჩვენეს კიდეც იმავე სატელევიზიო სადგურის ერთ-ერთ არხზე.

ი. ნაჯირაძე.

მშრომელთა სამსახურში

სილნაღის რაიონის სოფელ ნოკრიანის ცენტრში მშრომელთა სამსახურში ჩადგა ორსართულიანი უნივერმაღი.

წლეულს ახალი ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაეცა სხვა სოფლებშიც: მაღაროში გაიხსნა სასურსათო პავილიონი, ხოლო საქობოში — ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მაღაზია.

მალე სიღნაღში, წნორსა და ტიბაანში მწყობრში ჩადგება რეკონსტრუირებული საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

თ. კახელიშვილი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲔᲜᲓᲘ

„კომუნისტის“ ფოტოსტენდი

სურათებზე: „ნორჩი მედოლე“; „ბეჯითი“.

შ. აივაზოვის და ს. თევზაძის ფოტო.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ!

სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ერთი კვირის მანძილზე ბავშვების განკარგულებაში იყო. აქ წარმატებით ჩაიარა სახალხო-საყმაწვილო მუსიკის ტრადიციულმა კვირეულმა, რომელიც დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა.

კვირეული საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად მოაწყეს საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლებისა და კულტურის სამინისტროებმა.

ჩვენ შევხვდით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ მ. დავითაშვილს და ვთხოვეთ ეამბნა კვირეულის შედეგების შესახებ:

— საბავშვო-საყმაწვილო მუსიკის კვირეული, — თქვა მან, — ყოველწლიურად იწყობა მოსწავლეთა საკანიკულო არდადეგების დღეებში. კვირეულის განმავლობაში ჩვენი კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები თავისებური ანგარიშით წარსდგნენ ნორჩ მაყურებელთა წინაშე. კონცერტები გაიმართა როგორც თბილისის საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში, ასევე ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა თუ რაიონში. მასში მონაწილეობდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის, ზოგადსაგანმანათლებლო და მუსიკალური სკოლების, მუსიკალურ-პედაგოგიური სასწავლებლების მოსწავლეები, პროფკავშირთა მხატვრული კოლექტივები.

ნორჩებმა ნახეს და მოისმინეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრებისა და რკინიგზის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ოპერის თეატრის სასბავშვო სპექტაკლები: „ნაცარქიქია“, „ბატის ჭუკი“, „თერძი ქატა“, „დიდება მზეს“ და „მერი პოპინსი“.

ერთ-ერთ კონცერტზე საყვარელ კომპოზიტორთა ნაწარმოებთან ერთად ნორჩებმა თავიანთი შეთხზული ნაწარმოებები გამოიტანეს. ამ კონცერტმა, რომელსაც ბავშვებმა „მუსიკის სიახლენი“ უწოდეს, მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დღეებში თბილისს ესტუმრნენ ლენინგრადის სასბავშვო კაპელის მუსიკოსები, რომელთაც თავიანთი ხელოვნება უჩვენეს თბილისელ ნორჩებს.

კვირეულის განმავლობაში მიეწყო აგრეთვე შემოქმედებითი შეხვედრები, მუსიკალური ლექციები, ფესტივალები.

კვირეული დამთავრდა სასბავშვო ბალეტის აღსაზრდელთა კონცერტით. მომავალ გაზაფხულს კი ისევ შევხვდებით ნორჩებს, რათა ახალი მუსიკალური ნაწარმოებებით გავაბაროთ მათი გული.

გ. ქაფიანიძე.

ᲤᲐᲑᲐᲗᲘ

1980

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 9 ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲚᲗᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ 43-Ე ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ გაზაფხული აპრილში დგება და ტრადიციისამებრ ჩვენში დიდი ფეხბურთის მობრძანებასაც იგი მასპინძლობს.

დასრულდა მარტი — სათასო სეზონის სასტარტო პერიოდი და მისი უდიდებულესობა ფეხბურთი დღეს უკვე სსრ კავშირის საჩემპიონატო სარბიელზეც შემოაბიჯებს. ფეხბურთის ქომაგები ხომ ყოველ ახალ სეზონს მოუთმენლად ელიან, მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩის დაწყებას საზეიმოდ ხვდებიან და ეს ამაღლებული განწყობილება ჩემპიონატის ბოლომდე გრძელდება. შემდეგ დგება ყამი ფიქრისა და განსჯისა, სპეციალისტები — ამა თუ იმ შეკრებაზე, ჟურნალისტები — პრესის ფურცლებზე, ხოლო ფეხბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმიის წარმომადგენლები — კერძო საუბრებისას გამოთქვამენ საკუთარ აზრს...

საფეხბურთო სეზონებს შორის შესვენების დროს მონაკვეთი არც თუ დიდია, ფეხბურთელები გვარიანად დასვენებას ვერ კი ასწრებენ, რომ უმალ ახალ ბრძოლებში ებმებიან.

საბჭოთა საკლუბო გუნდებმა წლეულს ხუთი სხვადასხვა მწვერვალის დასალაშქრად უნდა იბრძოლონ. ესენია: სსრ კავშირის ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასის, უეფას თასის, ევროპის ჩემპიონების ჩემპიონთა თასის და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები. ამ ხუთიდან თბილისის „დინამო“ სამ მწვერვალს უნდა შეეჭიდოს (საკავშირო ჩემპიონატში, საკავშირო თასის გათამაშებაში და ერთ-ერთ ევროპულ ტურნირში). წინასწარ იმის თქმა, რომ დინამოელები სამივე მწვერვალს დაიპყრობენ, ერთობ ძნელია. ფეხბურთი მოულოდნელობებით არის აღსავსე, მაგრამ თავისი სასიკეთო კანონზომიერებაც აბლავს. რაკი ასეა, ვიყოთ ოპტიმისტები, მით უმეტეს, როცა ამის გარკვეული საფუძველიც გვაქვს. ამის ურყევი საბუთი კი ის გახლავთ, რომ თბილისის „დინამომ“ უკვე რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა ფეხბურთის ფთვალსაჩინოესი წარმომადგენლის სახელი დაიმკვიდრა: უფრო მტკიცე, უფრო შემტევი, უფრო ორგანიზებული, გაკეთილებით ლაღი და შემართებული თამაშის შემძლისი. გვახსოვს ის დროც, როცა თაობათა ცვლისა და აზრადასხვა მიზეზთა გამო გუნდის თამაში ერთობ დაქვეითდა და სტადიონის ტრიბუნები შეთხელდა. გვახსოვს ისიც, ჯერ როგორ გამოკოკნილდა, შემდეგ მოღონიერდა, ბოლოს კი ორივე ფეხზე დადგა და ფესვები მტკიცედ გაიდგა გუნდმა. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა „დინამოს“ ფეხბურთელთა წვრთნისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ყურადღება მომავალშიც არ მოაკლდებათ, ისინი ყოველთვის ეკეთილმოსურნეობის გარემოცვაში იქნებიან, სამაგიერო საზოგადოებრივ კი ქომაგები ალბა თამაშს და ახალ მიღწევებს ელიან.

საბჭოთა ფეხბურთის კლასის შესამჩნევად ამაღლება და მისი საერთაშორისო სტანდარტების დონემდე აყვანა კარგა ხანია ჩვენი სპორტის მესვეურთა მთავარი საზრუნავი გახდა, თუმცა ეს პროცესი ერთობ გაჭიანურდა. ეს სატკივარი როგორც სხვა საკლუბო გუნდებს, ნაწილობრივ თბილისის „დინამოსაც“ სჭირს.

დინამოელებმა წლევანდელ სეზონში უკვე შვიდი სათასო მატჩი მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ. თასის მოპოვებამდე ორი ნაბიჯიღა დარჩა გადასალახველი. დაე, მტკიცე და სასურველი აღმოჩნდეს ეს ნაბიჯები. რაც შეეხება ქვეყნის ჩემპიონატსა და ევროპულ ტურნირს, ეს ორი მარათონი გაკილებით რთული და ძნელად დასაძლევია.

მაშ ასე, ჩემპიონატი იწყება, მოდით ვუქომაგოთ „დინამოს“ ისე, როგორც შემმარიტ გულშემატკივრებს ეკადრებათ. გავამხნევოთ ჩვენი ფეხბურთელები და კიდევ ერთხელ გულსერვოთ „დინამოს“ ისეთი კარგი თამაში, როგორიც შარშან „ლივერპულთან“ შინ და სტუმრად, ხოლო „ჰამბურგთან“ ჰამბურგში შეხვედრაში გვაჩვენა.

ჯ. ენუქიძე.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

თუ ფეხბურთი ზეიმია...

ასეთი სათაურით დაიბეჭდა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნოდარ მალაზონიას წერილი „კომუნისტის“ 6 იანვრის ნომერში. ავტორმა არაერთი საინტერესო წინადადება წამოაჭრა იმის თაობაზე, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ყოველი მატჩის დროს მართლაც და საზეიმო განწყობილება სუფევდეს: სტადიონი გაფორმდეს გამოვნებით, გაუმჯობესდეს მისი საინფორმაციო სამსახურის მუშაობა, შეიქმნას წესრიგის ატმოსფერო, გულშემატკივართათვის გაიხსნას სპეციალიზებული მაღაზია, გამოშვებულ იქნეს კარგად გაფორმებული აბონემენტები... გაზეთში ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტში ოპერატიულად მოეწყო სპეციალური სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები, სპორტული ბაზების ხელმძღვანელები, ჟურნალისტები... ამ შეკრებაზე მრავალი საინტერესო აზრი გამოითქვა იმის თაობაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავარ სპორტულ სარბიელზე როგორც სპორტსმენებისათვის, ისე მაყურებლებისათვის სანიმუშო პირობები შეიქმნას. გაკეთდეს ის, რაც გაზეთმა „კომუნისტმა“ მკითხველთა სამსჯავროზე გამოიტანა. ამავე სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიისათვის თავისი მოსაზრებანი უნდა წარედგინა. ითქვა და გაკეთდა კიდეც: საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიაზე აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს და სათანადო დადგენილება მიიღეს. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ შეგვატყობინა, რომ





დასახულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი საჭირო რაოდენობის ქსოვილებისა და მასალების გამოყოფის თაობაზე, „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს ეთხოვა ყაატარონ საჭირო ღონისძიებანი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მატჩების მაღალ სპორტულ და ესთეტიკურ დონეზე ჩასატარებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქსპორტვაჭრობის“ დირექცია თანაბმაა გახსნას „დინამოს“ სტადიონზე სპეციალური ჯიხური „გულშემატკივარი“.

გარდა ამისა, თვით წერილის ავტორმა ნ. მალაზონიამ შექმნა მხატვრულად გაფორმებული საფეხბურთო ბონბონენტების ესკიზები. ეს ბონბონენტები უკვე დამზადდა და გულშემატკივართა მოწონებაც დაიმსახურა. დამზადებულია ვიმპელებისა და დროშების ნიმუშები. განზრახულია გემოვნებით შესრულებული თვალსაჩინო საადგილაციო საშუალებებთა და სარეკლამო საგნებით სტადიონის აღჭურვა.

გაზეთ „კომუნისტის“ გამოსვლას საქმით გამოეხმაურა ადრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ილარიონ ამაშუკელი, რომელმაც დაამზადა სპორტის გულშემატკივრის ნიშნისა და სეზონის საუკეთესო მოთამაშისათვის განკუთვნილი medlebi ესკიზები. ამ ესკიზების ფოტოსურათებს დღეს ვაქვეყნებთ.

თუ ფეხბურთი ზეიმია და მართლაც საზეიმო განწყობილება გვინდა შეიქმნას, ჩვენს სტადიონზე კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახორციელოს ამასთან დაკავშირებით ყველა წამოწყება, ყველამ — გულშემატკივრებმა თუ სპორტის სფეროში მომუშავეებმა ამ მიტად სასარგებლო საქმიანობაში თავიანთი გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ. „დინამოს“ სტადიონზე შექმნილი საზეიმო განწყობილების მოთავეობა და ამ ზეიმში უშუალო მონაწილეობა ყველა თბილისელისა თუ სტუმრის მოვალეობრივ მოვალეობად უნდა ჩაითვალოს.

გუშინ...

...დიმიტროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და მინსკის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩი, რომელიც დამთავრდა ფრედ — 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კორიოლიძემ და კაკილაშვილმა.

ᲓᲦᲔᲡ...

...საჩემპიონატო მატჩებში ხვდებიან: თბილისის „დინამო“ — მინსკის დინამო“, „არარატი“ — „ყუბანი“, „ყაირათი“ — „ზენიტი“, „ფახთაქორი“ — მოსკოვის „დინამო“, „ნეფთჩი“ — „ტორპედო“, კიევის „დინამო“ — ცსკა, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“, „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“, „კარპატი“ — დონის როსტოვის ასკ.



ბ. ფირცხალავას ნახ.

რედაქტორი

ბ. ბედინეიშვილი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ

არწივიც გვიყვარდეს

დათგა და სამშობლოსაკენ გამოეშურნენ ფრთოსანთა ჭარავნები. ჩვენში კარგი ტრადიცია არსებობს: ფრინველების მოფრენასთან დაკავშირებით, დიასახლისები, განსაკუთრებით პატარების გულის გასახარად, ცომის „ტოროლებს“ აცხობენ, რომლებშიაც ხურდა ფულებს ათავსებენ. უნდა ნახოთ, რა სიხარულია ხოლმე თუ რომელიმე პატარას ფული შეხვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ბედმა გაუღიმა.

საბუდრისაკენ ჯერ ისევ ფრინველებს გაუწევთ გული, რომლებიც აქაურობას ვერ თმობენ და ზამთარ-ზაფხულ ჩვენში ცხიან. ასე, მაგალითად, ნისკარტმარწუხა ჯერ კიდევ დიდთოვლობასას, თებერვალში აბერხებს ბარტყების დაჩეკვას.

მარტში გადაიფრენენ ხოლმე ჩრდილოეთისაკენ წეროების და გედების გუნდები. საერთოდ, ეს თვე ფრინველთა დიდი შობადობის თვეა. საინტერესოა, რომ მეცნიერებმა დაადგინეს: ფრინველების უმრავლესობა ღამით მიფრინავს, ორიენტაციისათვის მათ ეხმარება მთვარის, ვარსკვლავების შუქი. მაგრამ არც თუ იშვიათად მაღალი ძაბვის დენის ანძების, მაღალი შენობების კიდლების მსხვერპლნი ხდებიან.

მამლები 10-12 დღით ადრე ფრენენ ლედლებს და მათი დაბრუნებისათვის ისინი ბუდეებს უკვე შეკითებულ-შელამაზებულ ამზადებენ. ბუდეები კი, მართლაც, რომ, საოცრებაა: რამდენნაირია, რა და რა მასალისაგან არ არის შეკოწიწებული. ავიღოთ თუნდაც პატარა ჩიტის — რემეზის ბუდე, რომელიც მდინარის ან ტბის ზედაპირთან ჰკიდია წვრილ ტოტზე. ნელი სიო არწევს მას, დედამა კი უზიდავს ამ „აკვანში“ მყოფ ბარტყებს საკვებს. ლობიმძვრალა კი ხავსისაგან ბურთებურ ბუდეს იკეთებს. შავი წყნელებისაგან იკეთებს ბუდეს და სიმაგრისათვის მას თიხითა და ტალახით ამაგრებს. აპრილის პირველი ნახევრისათვის ფრთოსანთა ოჯრავლესობას უკვე კვერცხები ექნება დადებული.

მაგრამ გაზაფხული რა გაზაფხულია უმერეხლოდ? გაიკლის რამდენიმე დღე და ჩვენი საყვარელი ფრინველეკიც გამოჩნდება. მოფრინდება კუდმაკრატელა — მერეხალი და ყვითელ-ხვიელითა გაკაბალისებს!

3 აპრილი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ფრინველთა დღედ არის გამოცხადებული. ჩვენი ბუნების ნორჩი ქომაგები ხელოვნურ საბუდრებს აბვედრებენ სამშობლოში დაბრუნებულ ფრთოსნებს, ზრუნავენ მათზე. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: არასოდეს არ უნდა მივეკარონ ჩიტის ბუდეს, შეშინებული დედა გაფრინდება, მიატოვებს უმწეო ბარტყებს, ისინი კი დაიღუპებიან. თვითეული ფრინველი დიდი სარგებლობის მომტანია, ანადგურებს მავნე მწერებს, მათ მატლებსა და ჭუპრებს, ზოგიც მღრღნელებს. ყველასათვის ცნობილი წიწილია თითო ბარტყს დღეში 350-400 ცალ მწერს აჭამენს, ტარბი თავის წონა ალიასა და ჟუტალიას ჭამს! აი, რა დიდი სარგებლობა მოაქვთ მათ! მტაცებელი ფრინველები ჭამენ მავნე მღრღნელებს, ლეშს, წინათ არწივისა თუ შევარდნის მოკვლა სატრაბახო თუ იყო, ეხლა მათი მოსპობა დიდი სირცხვილია: თითქმის ყველა მტაცებელი ფრინველი ძალზე შემცირდა, ისინი თითქმის ამოწყვეტის პირზე არიან დამდგარნი. ამის გამო ეს ფრინველები „წითელ წიგნში“, არიან შეტანილნი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვენ. თუ ვაკეს ერთხელ მაინც უნახავს ცის ტატნობზე მონავარდე არწივი — ეს ფრინველთა მეფე, დამტაცებია მისი სიზვიადითა და სილამაზით, იგი მათ მოსაცალავად ვერასოდეს ვერ გაიმეტებს, თუნდაც, წიწილაც მოსტაცოს...

რ. ქორდანია.

დინამო! დინამო! დინამო!

- **დინამოელებო!** ფრიადოსნობას გისურვებთ, განა ფრიადოსნობასაო.
- **გულშემატკივარს ჰკითხეს** — თასი გიორჩევნია, თუ ჩემპიონობაო, და — თასით ნადდეგრძელეკი ჩემპიონობაო.
- **ჩემპიონობამ შემოუთვალა** დინამოელებს — ქალბატონი თასი მანდ გყოლიათ და ზედსიძეობაზე უარს ნუ მეტყვითო.
- **შემოდგომამ ინატრა** — ნეტავ არც ერთი გულშემატკივარი არ ჩამაბარონ გულმატკივარიო.

ვ. ჯავრიშვილი.

ᲕᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ლილის ვარჯიში (მ.), 17.25 — აბიგურიეწყობა-თვის — ფიზიკა (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვასწავლით რუსულ ენას (ფ.). 18.30 — „ლენინური გვარდიის ჯარის კაცი“. ლუკიანე თაბუაკაშვილი. 19.00 — ფეხბურთის საბჭოთა კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — მინსკის „დინამო“. გრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე“ (ფ.), 21.15 — „ბუნების ჯარი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ტიციან ტაბიძის ხსოვნის საღამო. მოსკოვში (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. დოკუმენტური ფილმები: „ჯარაგული ესკიზები“; „მშობლიური ნაპირები“, 16.15 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 17.45 — კინონარკვევი, 18.00 — საგელვეიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩამოყალიბება“ (ფ.). 18.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ერთი ნახვით შეყვარება“ (ფ.),

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — გამოგვეხმაურეთ, ჰორისნაგებო!, 10.35 — მხატვრული ფილმი „გზანი ნამებისანი“. მესამე სერია — „ომი“, 11.45 — ხალხური შემოქმედება, ფილემონოხლვა. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. კინოპროგრამა. 16.30 — ჭადრაკის ბკოლა, 17.00 — მუსიკალური საღამოები ახალგაზრდებისათვის ვ ი ს, 19.15 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი.** სოციალისტური ეკონომიკის მართვა, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა პროფკავშირის ხალხური ცეკვის ანსამბლის კონცერტი, 20.30 — მხატვრული ფილმი „გზანი ნამებისანი“. მეოთხე სერია — „ოთხნი“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — ა. ომინის პოეზიის საღამო. შესვენების დროს (23.35) — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ფეხბურთი. „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“. შესვენების დროს (20.45) „ძილი ნებისა, პაგარენ!“, 21.45 — „განმკურნებელი ნიმსების საიდუმლოება“. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 22.00 — ლ. ბეთჰოვენი — სიმფონია № 6 („პასტორალური“), 22.40 — „შარიკა, ძვირფასო...“ უნგრული მხატვრული ფილმი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲘ. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1928 წლიდან სკკპ წევრი გიორგი ერმალოზის ძე **ალავიძე.**

გ. ალავიძე დაიბადა 1903 წელს სოფელ იგოეთში, ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგაულის) რაიონში. ზესტაფონის ტექნიკური სასწავლებლის (დამთავრების შემდეგ 1924 წელს მუშაობას იწყებს მასწავლებლად, შემდეგ გადაჰყავთ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე.

1929 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გ. ალავიძე სასწავლებლად მიავლინა მოსკოვის წყალთა მეურნეობის საინჟინრო ინსტიტუტში, რომელის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისგეოპროექტში ჯერ მთავარი ინჟინრის მოადგილედ, შემდეგ ინაშნება დირექტორის მოადგილედ და მერე დირექტორად.

1941-1955 წლებში გ. ალავიძე მუშაობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში. იგი იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი სათბობის და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში, საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი, საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ცვების მრეწველობის მინისტრი. გარდა ამისა მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტროებში.

1955 წლიდან გ. ალავიძე უშუალოდ აქტიურად მონაწილეობს საქართველოში ენერგეტიკული ობიექტების შენებლობის საქმეში. მას „საქიდროენერგომშენის“ ტრესტის სისტემაში ეკავა პასუხსაგები თანამდებობანი. იყო ხრამჰეს-2 მშენებლობის უფროსი, თბილისის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის დირექტორი, ხოლო პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

ყველგან, სადაც კი მას უმუშავია, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, ინჟინრის მდიდარ ცოდნას. გ. ალავიძე, როგორც ხელმძღვანელი, გამოირჩეოდა კომპეტენტურობითა და ერუდიციით, ღრმა პროფესიული ცოდნით, პრინციპულობითა და მომთხოვნელობით, უნარი შესწევდა დაერაზმა კოლექტივი პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. იგი იყო შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი, გულისხმიერი ადამიანი.

გ. ალავიძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის ბიუროს წევრად, საქალაქო და რაიონული საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს გ. ალავიძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენით, მედლებით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, შესანიშნავი სპეციალისტი, მეგობარი და ადამიანი, გიორგი ერმალოზის ძე ალავიძე მარად ეხსომებათ მის კოლეგებსა და მეგობრებს.

საქართველოს სსრ საუნივერსიტეტო მასალათა მრეწველობის სამინისტრო; „საქიდროენერგომშენის“ ტრესტი; „კაპიტალელექტროკალელმშენის“ ტრესტი.

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკური კომიტეტის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების ყოფილი გამგე

დავით ზაქარიას ძე ციბრკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნელი კონსტანტინეს ასული ჟორჟოლაძე-დოლიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02124 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ლენინის ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ Უ